


№13 / 2009წ /

ყოველთვიური ჩანართი

# ბიუჯეტის დაგეგმვის პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში



*მიხეილ ანანიძე*

***ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობის ყველაზე მთავარი ფაქტორი გახლავთ ფინანსური დამოუკიდებლობა, რომელიც საშუალებას მისცემს საკრებულოებს და გამგეობებს ბიუჯეტები მიზნობრივად და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშაონ. ასევე არსებობს ბევრი სხვა პრობლემა, რომელიც აფერხებს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესს. ზემოთაღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით საუბრობს ,,ინტელექტის“ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში მიხეილ ანანიძე***

**– როგორ შეფასებას მიცემდით ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებს?**

– ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების მნიშვნელოვანი წილი ფინანსურ დახმარებაზე მოდის. როგორც ადრე ვსაუბრობდით, კვლავაც არსებობს ფინანსური დამოუკიდებლობის პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობებში, რაც მნიშვნელოვნად აისახება მათ საქმიანობაზეც. მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას რთულია საუბარი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ოდენობებზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მომავალი წლის შემოსავლები არაპროგნოზირებადია, ანუ არ არის დამოკიდებული ობიექტურ ფაქტორებზე და ეფუძნება ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღება აჭარის არ თუ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებაში.

ბოლო წლებში შეინიშნებოდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ზრდა, გარდა 2009 წლისა, რომელსაც თავისი ობიექტური ფაქტორები გააჩნია, ვგულისხმობ აგვისტოს მოვლენებს და შემდგომ, მსოფლიო ფინანსურ კრიზისს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობზე. მიუხედავად მათი ზრდისა, ბიუჯეტებში ფინანსურ დახმარებასა და სხვა შემოსულობებს შორის თანაფარდობა მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი არ განსხვავდებოდა მიმდინარე წელს არსებული სიტუაციისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობებიდან, გარდა მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერებისა, გამოთნაბრებითი ტრანსფერი წარმოადგენს ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც თითქმის მთლიანად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება, მაგალითად ხელფასებში, მივლინებებში, საოფისე მარაგების შეძენასა და სხვა ხარჯებისათვის. სხვა შემოსავლები (შემოსავლები მოსაკრებლებიდან, ჯარიმებიდან და სხვა) იმდენად მცირე თანხებს წარმოადგენენ, რომ არავითარ ფინანსურ ეფექტს არ იძლევა. თუმცა თვითმმართველობებს შეუძლიათ იმუშაონ ამ ტიპის შემოსავლების გაზრდაზე შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფის მეშვეობით, მაგალითად მოსაკრებლის დაწესება პარკირებაზე (განსაკუთრებით ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში), სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე და ა.შ.

არსებული სიტუაციის გამო ადგილობრივი თვითმმართველობები დაემსგავსნენ აჭარის არ თუ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომლებიც ფინანსური რესურსების გამოყოფის და განკარგვის საკითხებში თითქმის მთლიანად დამოკიდებული არიან მათ გადაწყვეტილებებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის მხოლოდ კანონით უზრუნველყოფა არ არის საკმარისი, მას შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფაც სჭირდება, რაც დღესდღეისობით ვერ ხორციელდება.

ვფიქრობ, სახელმწიფო ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, რაც გამოიხატება შემდეგში: უნდა მოიხსნას სუბიექტური ფაქტორები თანხების გამოყოფასა და განკარგვისას, ამით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები უფრო პროგრნოზირებადი გახდება, შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო დამოუკიდებლები იქნებიან ბიუჯეტების დაგეგმვისას.

**– რა ხარვეზები არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის მხრივ?**

– ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაზე – ფინანსურ დამოუკიდებლობაზე უკვე ვისაუბრე, თუმცა ეს არის პრობლემის მხოლოდ ერთი მხარე.

ეგრეთწოდებული „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქტიურად დაიწყეს შეხვედრები მოსახლეობასთან თემებში არსებულ პრობლემებზე მსჯელობის და კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით. შეხვედრების საფუძველზე გადაწყდა შეზღუდული რესურსების პირობებში ისეთი პრობლემების მოგვარება, რომლებიც შედარებით მცირე დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ეს პროგრამა თითქმის იმ პრინციპზეა აგებული, რასაც ჩვენი პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ითვალისწინებს და რომლის განხორციელებაც ,,ინტელექტმა“ 2007 წლის ბოლოს დაიწყო. მსგავსი პრინციპით რომ ხორციელდებოდეს ბიუჯეტების დაგეგმვა, მაშინ მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტურობა, გამჭვირვალობა და მოსახლეობის ნდობის ხარისხი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ.

ჩვენი პროექტის მიზანია მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. ეს არ გულისხმობს მოსახლეობის უშუალოდ ჩართვას საბიუჯეტო პროცესში და იმ საქმიანობების განხორციელებას, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების კომპეტენციაში შედის. აქ იგულისხმება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი ინტერესების მომდევნო წლების ბიუჯეტებში გათვალისწინება. მსგავსი შეხვედრებისას იმართება დიალოგი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რაც უზრუნველყოფს ურთიერთგაგებასაც სხვადასხვა საკითხებზე. ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაურბიან მოსახლეობასთან ხშირ შეხვედრებს არსებული პრობლემების აღმოუფხვრელობის და მათდამი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ეს უფრო მეტ გაუცხოებას იწვევს. საჯარო მოხელეს უნდა შეეძლოს მოსახლეობასთან ურთიერთობა და დიალოგის წარმართვა, დაძაბული სიტუაციის განმუხტვა, ეს მისი მოვალეობაცაა. ყოველივე ამას დადებითი ეფექტი ექნება საზოგადოების განწყობაზე.

**– როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ბიუჯეტი?**

– ამ საკითხზე ხშირად მისაუბრია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ისე მოსახლეობასთან. ხშირად ვახსენებ შეხვედრებზე „იდეალური ბიუჯეტი უნდა იყოს მიზნობრივი პროგრამების მარტივი ჯამისა და ადმინისტრაციული ხარჯების ერთობლიობა“. რა თქმა უნდა ამის მიღწევა მარტივი არაა, მაგრამ თუ ადგილობრივი ბიუჯეტები მიზნობრივ ხასიათს მიიღებენ და სამომავლოდ უფრო დაიხვეწებიან, ეს დიდი წარმატება იქნება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტი, ეს არის მთელი რიგი პროცესების ერთობლიობის შედეგად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული პროდუქტი, რომელიც უნდა იყოს კარგად გათვლილი, ეფექტური და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი.

ბიუჯეტი უნდა იყოს მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრების და საბიუჯეტო კვლევების შედეგების გათვალისწინებით მიღებული ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც ნებისმიერი ხარჯის მიზნობრიობა დასაბუთებული იქნება შესაბამის მიზნობრივ პროგრამაში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის ნებისმიერ მუხლს უნდა ამყარებდეს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამა, რომელიც შემუშავებული ქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის შესაბამისად. სწორედ მსგავსი ნორმატიული აქტის პროექტი უკვე შეიმუშავა ჩვენმა ორგანიზაციამ და მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების მოგვარება.

მიზნობრივი ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ამარტივებს მისი განხორციელების პროცესსაც, რადგან ყველა ხარჯი განსაზღვრული იქნება შესაბამისი მიზნობრივი პროგრამით. გამგეობის შესაბამის განყოფილებებს უკვე ექნებათ კონკრეტული სამოქმედო გეგმები მიზნობრივი პროგრამების სახით, რაც მათ საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის. მეორეს მხრივ, საკრებულოს მიერ გამგეობის კონტროლი უფრო შედეგიანი იქნება.

**– თქვენი აზრით, რატომ ვერ ახერხებს ადგილობრივი თვითმმართველობა ბიუჯეტის მიზნობრივად გაწერას?**

– მიუხედავად ზემოთხსენებული პრობლემებისა, თვითმმართველობებში მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და ბიუჯეტის მიზნობრივად გაწერას ეს ფაქტორი ხელს არ უშლის. ჩემის აზრით ადგილობრივი თვითმმართველობა ბიუჯეტის მიზნობრივად გაწერას ვერ ახერხებს კი არა, არ ახერხებს, რადგან მათ უკვე საკმაო ინფორმაცია აქვთ მიზნობრივ დაგეგმვაზე და შეუძლიათ იმუშაონ ამ საკითხებზე. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ საჭიროებისამებრ მიიღონ კონსულტაციები და დახმარება ამ საკითხებზე ჩვენი თუ სხვა ორგანიზაციებიდან. რა თქმა უნდა პროგრამების შემუშავების პროცესი მარტივი არ არის, მაგრამ არც ისე რთულია იმ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც უფრო ხშირი შეხება აქვთ ადგილობრივ დონეზე არსებულ პრობლემებთან, ვიდრე სხვა ორგანიზაციებს.

ბიუჯეტის მიზნობრივად დაგეგმვის სურვილი ყველას აქვს, მაგრამ რატომღაც არ ხორციელდება. ალბათ ამის ძირითადი მიზეზია ბიუჯეტის მიზობრივად დაგეგმვის კულტურის არარსებობა, რაშიც ვგულისხმობ სამართლებრივი საფუძვლების და გამოცდილების ნაკლებობას, ანუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სასურველად მიიჩნევენ ხარჯების მიზნობრივი პროგრამების სახით ჩამოყალიბებას, მაგრამ არა სავალდებულოდ.

## ითვალისწინებს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობის აზრს ბიუჯეტის შედგენის დროს?



**ნონა თხილაიშვილი, სოფელი ზედა სამება:** „დაგვპირდებიან, გვგონია რომ შესრულდება, მაგრამ... დაპირებები განსაკუთრებით ხშირია წინასაარჩევნოდ, დანაპირების ნახევარიც რომ შესრულდეს კარგი იქნებოდა...“



**რეზო თანთიბა, სოფელი ხალა:** „შესაძლებლობების მიხედვით ალბათ ითვალისწინებს, უმეტესწილად რასაც მოსახლეობა ითხოვს ის კეთდება. მე პირადად არ მქონია შემთხვევა ჩემი პრობლემის მოგვარება შემეთავაზებინა, ამიტომ ზუსტად ვერაფერს ვიტყვი“.



**ნათია გორგოშაძე, სოფელი აჭარისწყალი:** „უნდათ რომ მოსახლეობის აზრი გაითვალისწინონ, მაგრამ ვერ ახერხებენ. რა საკითხიც სოფელს დაუყენებია, ადგილობრივ თვითმართველობასთან მისულა, მაგრამ დაფინანსება, ძალიან ხშირად ვერ ხდება, წელს იმედი გვქონდა აჭარისწყლის თემში კულტურის სახლს გაარემონტებდნენ, ბიუჯეტშიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ თანხის სიმცირის გამო სამწუხაროდ ისევ ამოიღეს“.



**მერაბ ტაკიძე, სოფელი ქობულეთი:** „რათქმაუნდა ითვალისწინებენ, ამაში დარწმუნებული იმიტომ ვარ, რომ ,,სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში რაც მოსახლეობამ მოისურვა ზუსტად ის კეთდება, რამოდენიმე თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია იყო მოსული და მაშინ მოსახლეობის მხრიდან გზის პრობლემის მოგვარების საკითხი დაისვა, როგორც მე ვიცი ეს პრობლემაც გვარდება“.



**ასმათ გოგიტიძე, სოფელი ჭახათი:** „რადგან მოსახლეობას ეკითხებიან ე.ი. უნდა გაითვალისწინონ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება, რადგან მოსახლეობის მოთხოვნებს რომ ეყრდნობოდნენ და იმას აკეთებდნენ რაც ჩვენ გვინდა, ბიუჯეტი არ ეყოფა, ამიტომ ხარჯავენ იმდენს, რამდენიც აქვთ და აგვარებენ იმ პრობლემებს, რომელსაც თანხები გასწვდება“.



**მზია ზოიძე, სოფელი ჩაისუბანი:** „კი როგორ არა, ბიუჯეტის შედგენამდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იყვნენ მოსული, ხალხთან შეთანხმებით დავასახელეთ პრობლემები და შევჯერდით როგორ დაგეგმილიყო ბიუჯეტი, რადგან უფრო მიზნობრივად გახარჯულიყო“.

# თემის მობილიზაციის პრობლემები

***მოსახლეობის მობილიზება და მათი ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში ჩართვა, ბიუჯეტების მიზნობრიობის და ეფექტურობის ამაღლება და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების დროს – ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზანი პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“, რომლის განხორციელებისას ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი გარკვეულ პრობლემებს წააწყდა. თემის მობილიზაციის პრობლემებზე საუბრობს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში - ირაკლი კახაძე, რომელიც პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში საბიუჯეტო კვლევებს ატარებს.***

**– ბატონო ირაკლი, განხორციელებული პროექტის შედეგად მიღებული პრაქტის საფუძველზე, რა პრობლემები შეიძლება დასახელდეს თემთა მობილიზაციის ყველაზე რთულ პრობლემებად?**

– პირველი და ყველაზე მთავარი პრობლემა რაც შეიძლება დასახელდეს თემის მობილიზაციის მხრივ – ეს არის უნდობლობა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, ჩვენი პროექტის მთავარი მიზანია პრობლემების კვლევა, მათი ბიუჯეტებში გათვალისწინებისათვის ლობირების განხორციელება და არა დაფინანსება. როცა მოსახლეობას ესმის, რომ გამოვლენილი პრობლემის მოგვარება ჩვენს კი არა, ადგილობრივი თვითმმართველობის, ცენტრალური ხელისუფლების ან კონკრეტული სამინისტროს კომპეტენციაში შედის, იმედგაცრუებული ამბობს „თუ თქვენ არ აფინანსებთ, რა აზრი აქვს, რადგან ბევრჯერ მოსულან, დაგვპირებიან, მაგრამ არაფერი“ არც ერთი შეხვედრიდან მოსახლეობა არ ელოდება სასარგებლო შედეგს, ამიტომ არანაირი ინტერესი და სტიმული არ აქვს მოვიდეს შეხვედრაზე. ერთ თემში (თემის დასახელებიდან თავს შევიკავებ) სოფლის მოსახლეობა გამოთქვამდა უკმაყოფილებას „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული შეხვედრის გამო, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება შეხვდა მოსახლეობას და მათთან შეათანხმა პრობლემა, რომელიც უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ მაინც ის გააკეთეს, რაც თავად ჩათვალეს საჭიროდ და მოსახლეობის აზარი არ გაითვალისწინეს. სწორედ მსგავსი ფაქტებია უნდობლობის ყველაზე დიდი მიზეზი. აგრეთვე მინდა ხაზი გავუსვა მოსახლეობასა და ხელსუფლებას შორის დიალოგის არ არსებობას. თვითმმარველობა ცხოვრობს არჩევნებიდან-არჩევნებამდე, სხვა დროს სხედან კაბინეტებში და იქიდან აკვირდებიან სიტუაციას.

**– რაში მდგომარეობს გამოსავალი არსებული სიტუაციიდან?**

– არსებული სიტუაციიდან პირდაპირი გამოსავალი არის ის, რასაც „ინტელექტი“ პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში აჭარის 5 მუნიციპალიტეტში მეორე წელია უკვე აკეთებს. (საბიუჯეტო კვლევები ჩატარება, მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება თვითმმართველობის საკიხებში, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და ა.შ.)

ხელისუფლების წარმომადგენლები თავადაც ხედავენ, რომ მოსახლეობაში ნდობა აქვთ დაკარგული, ამიტომ მათ უნდა იმუშაონ ამ კუთხით. დიალოგი მოსახლეობასთან პრობლემის მოგვარების ყველაზე კარგი საშუალებაა.

დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციები მინიმუმამდეა დასული, ამას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ მუნიციპალიტეტები არ არიან ფინანსურად დამოუკიდებელი. აუცილებელია მოხდეს ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივ თვითმმართველობებს პრიორიტეტები თავიანთი მოთხოვნილებებისამებრ დასახონ, ბიუჯეები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშაონ და არ იყვნენ დამოკიდებლი ცენტრალურ და რეგიონულ მთავრობაზე. ყოველივე ზემოთხსენებულს მივყავართ დასკვნამდე, რომ უნდა შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკა ამ მხრივ.



*ირაკლი კახაძე*

**– განხორციელებული პროექტის შემდეგ რა დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი? მიაღწია თუ არა პროექტმა თავის მიზანს?**

– პირველი, რაც შეიძლება აღინიშნოს, ეს არის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდა. არც ისე დიდი ხნის წინ მოსახლეობას ეგონა, რომ მარტო ხელისუფლებას ჰქონდა უფლება განესაზღვრა რა უნდა გაკეთებულიყო ამა თუ იმ თემში და როგორ უნდა გახარჯულიყო ბიუჯეტი. დღეისათვის თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მოსახლეობა გარკვეულია საბიუჯეტო პროცესში, მართალია დეტალურად არ იცნობენ ბიუჯეტის შედგენის ყველა პროცედურას, მაგრამ იციან, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მოსახლეობის მიმართ და ვალდებულია იმოქმედოს მათი ინტერესების შესაბამისად.

პროექტის მიმდინარეობისას იგრძნობოდა მოსახლეობის გააქტიურება. ხალხმა გაიგო, რომ მარტო ხელისუფლება ვერ გააკეთებს ყველა საქმეს, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა და ერთად შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება.

პროექტის მიმდინარეობისას თემებში გამოიყო აქტიური მოსახლების ნაწილი, რომლებიც საინიციატივო ჯგუფის სახით ჩამოყალიბდა. ამ ადამიანებმა ისწავლეს მიზნობრივი პროგრამების წერა, სამომავლოდ ზემოთაღნიშნული საინიციატივო ჯგუფები უფრო თანამედროვე მეთოდებით დაიწყებენ თავიანთი პრობლემების ლობირებას და დასაბუთებული მიზნობრივი პროგრამით წარადგენენ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში.

შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ თავის მიზანს სრულად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია. შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობების დამოკიდებულებაც მოსახლეობის მიმართ. არსებულ სიტუაციას წინა წლებს თუ შევადარებთ, დავინახავთ რომ ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოდიან თანამშრომლობაზე.

თუ მოსახლეობას ხელისუფლების წარმომადგენლები ადრე მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხვდებოდნენ, დღეის მდგომარეობით შეხვედრები გაცილებით ხშირია, მაგრამ არა საკმარისი. როდესაც „ინტელექტმა“ პროექტის ფარგლებში საბიუჯეტო განხილვები მოაწყო, ბევრმა დაინახა, რომ მეთოდი და პროცესი, რომლითაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი მოქმედებს მათთვის მისაღები და მოსაწონია. ამ სახის შეხვედრებმა დადებითად იმოქმედა ურთიერთ დამოკიდებულებაზე. ხოლო რამდენად დაინერგება ყოველივე ზემოთხსენებული პრაქტიკაში უკვე ადგილობრივ გამგეობებსა და მოსახლეობაზეა დამოკიდებული.

**– რამდენად თანამშრომლობენ გამგეობები და საკრებულოები არასამთავრობო სექტორთან და ითვალისწინებენ თუ არა ინიციატივებს, რომლებიც თქვენი მხრიდან მიდის?**

– ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ თანდათან შეიცვალა უკეთესობისაკენ. ჩვენი პროექტის განხორციელებისას არ გვქონია პრობლემები თანამშრომლობის კუთხით. ჩვენი ინიციატივა საბიუჯეტო კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა დადებითად მიიღეს. ამჟამად მიმდინარეობს თანამშრომლობა ნორმატიულ აქტის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს საბიუჯეტო კვლევის ჩატარებისათვის და დანერგავს მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და ანგარიშგების პრინციპებს.

# „თემთა მობილიზაციის ინიციატივის“ მორიგი ეტაპი

დასრულდა პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივის“ (რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი უკვე 21 თვეა ახორციელებს) მორიგი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც „ინტელექტიმა“ აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) 63 თემში საბიუჯეტო კვლევები ჩაატარა. გთავაზობთ კვლევების შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ პრობლემებს, რომლებზეც „ინტელექტის ექსპერტები საინიციატივო ჯგუფებთან ერთად მიზნობრივ პროგრამებს შეიმუშავებენ: (წინა კვლევების დროს პრობლემათა ჩამონათვალში შედიოდა მხოლოდ ის პრობლემები, რომელთა მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედიოდა, აღნიშნულ კველევაში კი აჭარის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ შორის შეთანხმების საფუძველზე, კვლევების დროს, პრობლემათა ჩამონათვალში შევიდა ის პრობლემებიც, რომელთა მოგვარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების კომპეტენციაში შედის. თუმცა პროექტის მიზნებიდან გამომდინარე „ინტელექტი“ მიზნობრივ პროგრამებს მხოლოდ იმ პრობლემებზე შეადგენს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა დააფინანსონ)

**ხულოს მუნიციპალიტეტი**

დიდაჭარა – ადმინისტრაციული შენობის – კლუბის მშენებლობა

ვაშლოვანი – ბაგა-ბაღის მოწყობა ვაშლოვანის თემის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე

რიყეთი – ბაგა-ბაღის მოწყობა რიყეთის თემის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე

აგარა – წყალშემკრებებიდან თემში წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია

დიოკნისი – სოფლების – ჯვარიქეთი, ტაბახმელა და ბეღლეთი, სარწყავი არხების რეაბილიტაცია.

საციხური – თემში შიდა გზების რეაბილიტაცია

თხილვანა – თემში ცენტრში კლუბის მშენებლობა

ხიხაძირი – ДТ ტიპის ტრაქტორის შეძენა

სხალთა – თემში კულტურის სახლის მშენებლობა

ფუშრუკაული – თემში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია

ღორჯომი – ღორჯომი-ბოდიშის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

დაბა ხულო – სათავე ნაგებობაზე სასმელი წყლის გაფილტვრა

დეკანაშვილები – თემის ცენტრში კლუბის მშენებლობა

**შუახევის მუნიციპალიტეტი**

წყალსაყარი – თემში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა

ჭვანა – სოფლების – ჭალის, წყაროთის და ახალდაბის სასმელი წყლის რეაბილიტაცია

დღვანი – თემში მინი სპორტული მოედნის მოწყობა

დაბა შუახევი – თემში შიდა გზების რეაბილიტაცია

უჩამბა – თემში მინი ტრაქტორის (საცელთან ერთად) შეძენა

შუბანი – ДТ ტიპის ტრაქტორის შეძენა

ოლადაური – სოფლებში – მაწყვალთა, ოლადაური და პაპოშვილები კლუბების რემონტი და ახალი კლუბების აშენება სოფლებში – კარაპეტი და გორი

ზამლეთი – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

ბარათაული – თემის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა

**ქედის მუნიციპალიტეტი**

დანდალო – თემის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია

ცხმორისი – თემში სასმელი წყლის რეაბილიტაცია

წონიარისი – სარწყავი არხის მილების შეძენა-მონტაჟი

ზვარე – თემის სარწყავი არხის რეაბილიტაცია

მერისი – სოფლების – გუნდაური, ინაშარიძეები, მერისი და სილიბაური სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია – აღჭურვა

ოქტომბერი – მაღალი გამავლობის ავტობუსის დანიშვნა სოფელ მეძიბნაში

პირველი მაისი – თემში ბაგა-ბაღის მშენებლობა

დაბა ქედა – დაბა ქედის ცენტრის კეთილმოწყობა

მახუნცეთი – თემში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი**

მაჭახელა – სტადიონის მოწყობა სოფლებში – ჩიქუნეთი და აჭარისაღმართში

კირნათი – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

აჭარისწყალი – თემის ცენტრში ბაგა-ბაღის მშენებლობა

სარფი – თემში კლუბის რეაბილიტაცია

გონიო – თემის საჯარო სკოლის შენობაში საბავშვო ბაღის მოწყობა

თხილნარი – კულტურის სახლის რეაბილიტაცია-აღჭურვა

ახალშენი – თემში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია

მახინჯაური – თემში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, სანაპირო ზოლის დასუფთავება, ცენტრის კეთილმოწყობა (ნაგვის ურნების მონტაჟი), ცენტრში მდინარის გაწმენდა

ორთაბათუმი – თემში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია

ურეხი – შ.პ.ს ახალშენის მეურნეობა – ქვედა სამების 1 კმ გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

კახაბერი – სამხედრო დასახლებაში მეცხოველეობის ფერმასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

შარაბიძეები – თემში შიდა გზების რეაბილიტაცია

დაბა ხელვაჩაური – დაბაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**

ჩაისუბანი – თემში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია

ხალა – საფერშლო პუნქტის მოწყობა სოფელ გორგაძეებში

საჩინო – თემის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

ჭახათი – თემის ცენტრში სპორტული მოედნის მოწყობა

ქაქუთი – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

აჭყვისთავი – აჭყვისთავი-ლელვას შიდა გზების რეაბილიტაცია

ალამბარი – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 8 კმ მონაკვეთზე

ლელვა – თემში არსებული 5 ხიდის მოაჯირებით უზრუნველყოფა

ზენითი – ზენითი – ალამბარის გზის მონაკვეთზე ხიდის რეაბილიტაცია

გვარა – თემის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

ხუცუბანი – თემში ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია

კვირიკე – მინი სპორტული მოედნის აშენება ზედა კვირიკეში

ციხისძირი – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

დაბა ჩაქვი – „ციტრუს მეურნეობის“ გზის რეაბილიტაცია

სოფ.ქობულეთი – თემში ბაგა-ბაღის აშენება

მუხაესტატე – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 1,2 კმ

ბობოყვათი – თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

დაგვა – თემის საჯარო სკოლის შენობაში ბაგა-ბაღის მოწყობა

ოჩხამური – თემში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება

**საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“**

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge